კვირა 10 . იანვარი.

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შათრახი

№ 2. — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.



**საფრთხობელა.**
(ოზურგეთისათვის)

ლითოგრაფია ს. ზიხოვის.

ცხადი არის ხედავთ ყველა,
რომ სკოლის წინ
საფრთხობელა
ალუმართავს ვილაცას ხელს,
(ეშმაკსა და არ დასაცლელს!)
ისე რიგათ იბლვირება,
თითქო მუშტებს იღირება.

ახლო მისვლას ვინ გაბედავს,
თუ დედ-მამას არა ხედავს?!
ბავშვებმა რო დაინახეს,
ფერი შეეცვალათ სახეს!!
სთქვეს: ,,იქ შეუსვლელობა ჯობს

თორემ ვინმე
ყურს მოგვაძრობს.‘‘
პაწაწინა მეგობრები
დაფრთხენ, როგორც შვლის ნუკრები.

18340

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Библиотека

და მოჰკურცხლეს იქიდან შორს:
,,შერცხვებაო ჩვენს ინსპექტორს‘‘
მაგრამ, თავიც არ მომიკვდეს...
ის ამ ამბავს
არ დაგიდევს.
იმას თითქო გაუხარდა...
სჩანს, ბავშვები
არ უყვარდა.

—კი.

---

# ეშმაკის ინტერვიუ.

**გიორგი გვაზავასთან.**

— რა ვუყოთ, ზოგთან ერთხელაც ვერ გეახელი, თქვენთან კი მეორეთ.

— მაშ მე განსაკუთრებული პატივისცემის ღირსი ვყოფილვარ.

— ყოველივე ეჭვს გარეშეა. მას შემდეგ, რაც თქვენ,,სამი ივნისის კანონის‘‘დამცველობა იკისრეთ...

— და განა შეიძლებოდა არ მეკისრა? მე ხომ დამცველი ვბრძანდები, ბ-ნო ეშმაკო...

— როგორ დამცველი?..

— როგორ დამცველი და ადვოკატი. ადვოკატი ხომ დამცველია. მე არ შემეძლო არ დამეცო სამი ივნისის კანონი თუ კი ბოქაული ბ-ნი კედია სახაზინო თეატრის გამგე და სხვა ამგვარები გავათეთრე, სამი ივნისის კანონს ხომ ვერ ჩავწიხლავდი?

— რასაკვირველია ვერა. მიუხედავათ იმისა, რომ წიხლები საუცხოვოთ გემარჯვებათ, იმათ მაინც ვერ ჩასწიხლავდით. ჰო და, როცა თქვენ ამ დამცველობით თავი ისახელეთ, მე დიდი იმედები დამებადა გულში ჩვენი ეროვნული აღორძინების შესახებ. მაგრამ, როცა „ნოვაია ლენჩმა“ თქვენი ისტორიული შარლატინობა გამოაქვეყნა, მე აღარ ვიცოდი რა მექნა ჩემი ენტუზიაზმისა და აღტაცებისათვის...

— ნუ თუ სართლა ასე მოგეწონათ? ის სულ რაღაცა სამ ოთხ ნიმუტში დავწერე.

— რას ამბობთ ყმაწვილო, იმოდენა შარლატანობა და ხუთ წუთში? ამას კი ვეღარ დაგიჯერებთ, ჯოჯოხეთის მადლსა ვფიცავ.

— გეუბნევი სულ რაღაცა, კაკიხ ნიბუდ ხუთ ექვს ნიმუტში!

— ვინ იცის, შეიძლება, მაგრამ გოთუა უეჭველათ გაგისწორებდათ. იმისი წილიც იქნება შიგ, მარტო თქვენ ამდენს ვერ შესძლებდით.

გვაზავას ცოტა შერცხვა, სახეზე წამოწითლდა. უნდოდა გამოტეხილიყო, მაგრამ ბოლოს ისევ დაიმორჩილა მღელვარება და სინდისი...

— ღმერთი არ გამიწყრეს! გოთუა რათ მინდოდა ამაზედ? ძალიან მწყინს, ბ-ნო ეშმაკო, რომ თქვენ ჩემზედ ასეთი ცუდი აზრისა ყოფილხართ. რა არის აქ, უბრალო, შარლატანობაა ამას ყოველი კაცი მოახერხებს თუ კი სურვილი ექნება და განათლებაც ხელს უწყობს.

— არა, ნიჭი და გაბედულება მაინც უნდა.

— თქვენ აი აწე უყურეთ' მე განზრახვა მაქვს ახლო მომავალში მეორე წერილი მოვათავსო „ნოვაია რეჩში“. . წერილი აი ის იქნება!..

— თუ ეს შარლატანიზმი დაგიმტკიცდათ, შემდეგ მე თქვენგან აღარაფერი არ გამიკვირდება.

— პართენიც ძლიერ გახარებულია. ამბობს შენმა წერილებმა და გამოკვლევებმა გაზეთის მკითხველები გაგვიორკეცესო.

— ახალს მაინც რას აპირობთ?

— არა, მაინც და მაინც დიდს არაფერს... მინდა ვეფხის ტყაოსნის კუპლეტები სხვაფერ დავალაგო და ზოგიერთი შევაკეთო. ენაც მძიმეა და აზრიც ბუნდოვანათ არის გამოთქმული. ასეთი ლექსებით ადამის დროს წერდენ, ახლა სულ სხვა მოთხოვნილება აქვს საზოგადოებას და ვეფხის ტყაოსანიც არ შეესაბამება ჩემს გემოვნებას.

— რა ერქმევა წერილებს?

— წერილებს?.. არ ვიცი ღმერთმანი, ჯერ მხოლოდ ვფიქრობ ამაზე. მე მგონია ყველას აჯობებს ,,ქარაფშუტიზმ‘‘ რომ დავარქვა. თქვენ რას იტყვით?

— რაღა მეთქმის, ჩინებულია!

— ერთი, ეს მარრია თუ ვიღაც ოხერი, უთუოდ უნდა ჩავაჩოქო. ქარაფშუტიზმით უნდა დავუმტკიცო იმას, რომ მეცნიერებაში ჰოჭი ჩვენც გვიძევს, რომ ერთი კალამი და ქაღალდი ჩვენც გვეშოვნება.

— პართენ გოთუა რა აზრისაა ამის შესახებ? რაც უნდა იყოს იმის გაზეთში იბეჭდება.

— თქვენი არ მიკვირს?! პართენის აზრზე ლაპარაკი გამიგონია?! ორი ქართველი არ იქნება ქვეყანაზე, რომ იმას აზრთა მესაკუთრეობა შესწამოს. რა უნდა სთქვას, დიდი ასოებით რომ მაცხადებდა: ,,ბ-ნი გიორგი გვაზავას თანამშრომლობითო‘‘ განა მაშინ არ იცოდა ჩემი იდეალები? უჩემოთ ყვავი წაიღებს, თაგვებმა თუ არ შეჭამეს.

— მალე გამოვა თქვენი ქარაფშუტიზმი.

— როგორ თუ გამოვა? ის დაიბეჭდება.

— ჰო თუ მალე დაიბეჭდება.

— ხვალვე. მე თქვენ გითხრათ დიდი ფიქრი მჭირია! დავჯდები და დავწერ. სულ სამი ნიმუტის საქმეა.

— მაშ მშვიდობით, ხელს აღარ შეგიშლით.

— მშვიდობით... უთუოდ წაიკითხეთ...

ბედნიერია გოთუა! ასეთი მარჯვენა ხელი და პარტიის კაცი ვის არ აამშვენებს და დაამშვენებს?

**ეშმაკი.**

---

# ც ა ს.

—

დაბინდდა. უკვე დასავლეთით მზე ჩაესვენა,
შავთა ღრუბელთა ლაჟვარდ ცაზე დაიწყეს დენა,
ღამის გუშაგი ამოსცურდა დინჯათ, ამაყად,
ღრუბელთა უკან იწყო კრთოლვა თვალთა წარ-
მტაცად.
გრილმა ნიავმა დასძრა ნავი, ტკბილათ დასტვინა,
აქ ბუჩქს შეეხო, იქ მდუმარე ტყე მოალხინა,
მოულოდნელათ ვარდს წარსტაცა ცელქმა სურნელი
და გააბნია... ანეტარა ირგვლივ მთა-ველი.
ზღვაც აბუტბუტდა. ტალღა ტალღას გაეხმაურა,
ბუნების ფერხულს ბანი მისცა, დაადასტურა..
ძილი გაუკრთო ქანც გაწყვეტილს მან მენავესა,
და გააქანა შორს, შორს სადღაც, უცხო მხარესა.
სოფლად კი? ისევ მოთქმა ისმის, გლოვისა ზარი,
ბუნების ლხინი მისთვის ფუჭი და უცხო არი.
იქ მხოლოდ ტანჯვა, მხოლოდ ცრემლი დაბუდებულა
მის წმინდათ წმინდა გათელილა, აოხრებულა
სიკვდილი მეფობს, გაუშლია ფრთები კაეშანს,
შავი წყვდიადი დასწოლია სიცოცხლის საგანს.
იბრძვიან, მაგრამ ხსნის კარებთან ჯერ ვერ მისულან,
ზოგნი დამფთხალან, საცოდვავათ მთლად მოკაკულან,
ზოგს მტრის წინაშე მოუხრია ქედი მონურად,
იმის სურვილებს, მის ბრძანებას ასრულებს ყმურად.
გამოთიშვია მისებრ ტანჯულ, საბრალო ძმასა,
ბილწი იუდა, ურცხვად ხელ-ფეხს უბორკავს მასა.
ძლიერს უძლური დაუჩაგრავს, სუფევს წამება,
ყოველ-მხრივ ისმის ადამიანთ გლოვა-ვაება.

—

ცაო პირქუშო! შენ ლხინი გაქვს შეუწყვეტელი,
ნეტარობს, ილხენს შენი სივრცე, დაულეველი
ზღვა, ღრუბელთ გროვა, დარაზმული ღამის გუშაგი.
მარად გიმღერის, სმენას გიტკბობს სამოთხის ჰანგი.
აქ კი უმწეო ხალხი კვნესის, ცრემლათ იღვრება,
სიცოცხლე ტანჯვით ეწამლება, ნელ-ნელ უქრება,
ხელს აპყრობს ზევით, გევედრება, ითხოვს შველასა,
შენ ეს არ გესმის, სასიკვდილოთ სწირავ ყველასა.
გულცივო! მითხარ ვინ დაგარქვა შენ კაცთ მოყვარე?
ეგ ტყუილია!.. ცდება, ცდება ხალხი მწუხარე

. . . . . . . .

. . . . . . . .

ოჰ, უბედურებავ!..

ნ. ჩხაკვაძე

---

# ნ ა ვ ი.

—

ვხედავ ნავს, მოღლილს ზღვასთან ბრძოლაში,
ობლათ გარიყულს ზღვისა კიდეზე,
უმოქმედობით მტვერი და ობი
რომ გადაჰკვრია აფრა რიდეზე.
და ნაპირიდან დაჰყურებს იგი
ზღვას, ცოფ მორეულს, ალქაფებულს,
და ზვირთთა ჯახი, ყოფილს მეომარს,
ბრძოლის წყურვილით კვლავ უნთებს გულსა.
მას აგონდება განვლილი ხანა.
ტალღათა შორის ლაღი ნავარდის,
და ფიქრს ეძლევა... მწარე ოცნებას,
გამომწვევველსა მქენჯნავი დარდის...

—

...აქ, ამ ზღვის კიდით ამაყი მუხა
ერთ დროს გასცქეროდა ამ ,,წყლისა სივრცეს‘‘..
ტყისა ხეები უქებდენ მუხას
გამბედაობა-სულის სიმტკიცეს;
ის ზღვის მონაბერ სტიქიონის წინ
სხვა ხეებივით არ ხრიდა ქედსა:
ზღვას თვის გრძელ ტოტებს უტყლაშუნებდა,
თითქოს სტუქსავდა იმ მყვირალს, ყბედსა.
მაგრამ ,,მუდმივმა‘‘ აჯობა ,,დროულს‘‘:
ზღვამ მუხას ძირი გამოუთხარა...
დაეცა იგი... მაგრამ ძლიერს მტერს
ქედი კი მაინც არ მოუხარა!..

—

სუსტს, მაგრამ ძლიერს ადამიანსა
არრა დარჩება გარდაუქმნელი!
და აი, მუხის უსულო სხეულს
მან აღსადგენათ შეახო ხელი:
დასჭრა, დახერხა დიდრონ ფიცრებათ,
შემდეგ იმათგან ნავი შეჰკერა,
დასჭედ-გაჰფისა, აჰკიდა ტილო
და ზღვისა ტალღებს მხნედ დააძგერა..
მძიმე და დინჯი, მაგრამ მძლე იყო,
სხვა ნავთაგან მით განირჩეოდა,
რომ თავ გაუჩენს არ გაუშვებდა,
სადაც ზღვის ტალღას წაეწეოდა.
იძლია მხოლოთ დროთა ბრუნვისგან:
მოტყდა და აფრა ჩამოეღრიცა,
მუდმივის ბრძოლით მჭიდრო კედლები
აქა-იქ კიდეც გამოეცრიცა.
მხოლოთ-ღა მაშინ ნავსა პატრონი,
გულდაწყვეტილი გამოეთხოვა:
ფრთხილად აზიდა ზღვისა ნაპირზე,
იქ შეასვენა და მიატოვა..
დღეს მე ამ ობოლს, ყოფილ მეომარს,
როცა გავხედავ, გული მიკვდება!..
ის ზღვას გასცქერის და მისი გული
რას გრძნობს იმ წამში, ვინ მიუხვდება?!.

ნ. ზომლეთელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ქართული ჰაერ-ოსტატი.

ჩვენს ქართულ ეროვნებაში
ბევრი არა გვყავს ოსტატი,
რომ საკუთარი სისტემის
შეექმნას ჰაეროსტატი.
სხვებმა დაგვჩაგრეს ამ დარგში
და წაგვაჯობეს ბევრათა,
მფრინავთა „კლუბებს" ადგენენ,
ეწერებიან წევრათა.

ჩვენში კი მხოლოდ ერთია
ამ საქმის მუშა, მმართველი,
ეს, ყველასაგან ცნობილი
„დიდი" იასე რაჭველი.
იმან პირველმა გაბედა,
საგმირო გასაბედავი,
და თუ არ იგი, რა წყალში
ჩავვარდებოდით ნეტავი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის „ჩემოდანით“ აფრინდა
„დოკუმენტ“ განატენითა
და გაალაცა ქვეყანა
ამ საარაკო ფრენითა.
ძალზე გაბერა ჯიბენი
ხიფათის ასაცდენათა,
ქართული „პარაშუტია“
იოლი შესაძენათა.
თუ „ჩემოდანი“ დაიმტვრეს,
სასტიკი შეხვდეს ქარები,
იმ დროსთვის გამოდგებიან,
ეგ ზორბა ჯიბის „შარები“.
მთელი ქვეყანა შეჰხარის
ამ ჩვენს იასე ძიასა,
და პატრიოტიც, თავის შარს
ეძახის „გეორგიასა“.

—კი.

# მაურიანი ეკონომია,

(პატარა ფელეტონი.)

თფილისში კარგათ ცნობილი ტრამვაის რეფორმატორ-დირექტორი ბატაილი ღრმათ ჩაფიქრებული იჯდა სტოლთან. წინ ქაღალდები ეყარა და საანგარიშო ჩოთქი ედგა. უხვი სინათლე ელექტრონის ლამპისა საუცხოვო, მოწითალო ფერს სდებდა, როგორც დირექტორის სახეს, აგრეთვე სტოლზე გაბნეულ ქაღალდებსაც. სტოლის მეორე მხარეზე, ასევე ღრმა ჩაფიქრებულათ და იდაყვ დაყრდნობილი იჯდა მეორე ბურჯი თფილისის ტრამვაისა ბ-ნი გისი და რაღაც ქაღალდს ჩაჰკირკიტებდა.

— იცით რა მოგახსენოთ, ბ-ნო გის? — დაიწყო დირექტორმა. მე მგონია წითელი კანტები კონდუქტორებისათვის აჯობებდა, ხოლო ლურჯი ვატმანებისათვის.

— მე მაშინაც ამ აზრის ვიყავი, მისტერ ბატაილ, მოძრაობის მოწესრიგებისათვის რა თქმა უნდა ის აჯობებს, თუ წითელი კანტები კონდუქტორებს ექნება და ლურჯი კი ვატმანებს ეს თავის თავათ ცხადია.

— მერე, თუ ეს თქვენთვის ასე აშკარა იყო. რატომ მაშინვე არ სთქვით? ახლა ისევ ხელახალი რეფორმა უნდა მოვახდინოთ?

— მაშინვე მინდოდა მეთქვა, მისტერ ბატაილ, მაგრამ ვერ გავბედე. არ ვიცოდი გეამებოდათ თუ გეწყინებოდათ.

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო გის, თქვენ ერთად ერთი კაცი ხართ ამ ტრამვაიში, რომელსაც ჩემთან მოურიდებლათ შეგიძლიათ ლაპარაკი და რჩევა.

— გმადლობთ ასეთი ნდობისათვის, მისტერ ბატაილ და გარწმუნებთ, რომ არც შემცდარხართ, თქვენს საუკეთესო მეგობარს უწვდით ხელს.

— ვიცი ბ-ნო გის, ვიცი! მაშ თქვენი აზრით ვატმანებისთვის ლურჯი კანტი აჯობებდა, ხოლო კნოდუქტორებისათვის წითელი, თუ კანტროლიორებისათვის მტრედის ფერი და მწმენდავებისთვის ყვითელი აჰ!..

აქ რეფორმატორს ერთი დაუსრულებელი სიცილი აუტყდა. გისიც, რასაკვირველია, მიხვდა საქმე რაში იყო და გულიანი ხარხარიააყოლა დირექტორ-რეფორმატორის გადამდებ სიცილს.

— ამით არის კარგი ბ ნო გის, ჩამორჩენილ ქვეყანაში სამსახური. აქ საზღვარ გარეთიდან ვირი, უბრალო ვირი, აი ოთხფეხი ვირი რომ ჩამოიყვანო, იმასაც პატივით მოეპყრობიან და მოეკრძალებიან: ეს უბრალო კი არ გეგონოთ, საზღვარგარეთელი ვირი ბრძანდებაო.

— რასაკვირველია. ეს თავის თავად ცხადია. აკი მეც გულში სიცილითა ვკვდებოდი ამ კანტებისა და სხვა ამ გვარი რეფორმების გამო! აქ მართლა რომ ყველას ერთნაირი თავი აბია: ადმინისტრაციასაც, თვითმართველობასაც და საზოგადოებასაც. ყველას თვალში აქვს ჰკუა.

— ეს ეგრეა და მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევკვეცოთ ხარჯები, რაც შეიძლება უნდა შევამციროთ.

— კონდუქტორ-ვატმანების ოჯახებისათვის საექიმო დახმარების მოსპობა და უფასო ბილეთების წართმევა კარგა მოზრდილ თანხას შეადგენს. ჩვენ შეგვიძლია მაგალითად, ერთი გადასაჯდომი პუნქტი მადერის სასტუმროსთან დავნიშნოთ, მეორეც კიდევ სადმე და ამ გვარათ ბილეთების ფასიც ავსწიოთ.

— რასაკვირველია, ბ-ნო გის, ესეც კარგი საშვალებაა, მაგრამ ეს შემდეგისათვის გამოგვადგება. ჯერ ისევ მუშებს უნდა მოვუჭიროთ მუხრუჭი, რაც კი შეიძლება, რაც მოსახერხებელი იქნება დღეს უნდა ვუქნათ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის?! ასეთი დრო ჩვენ არც ხშირად შეგვხვდება და არც დიდხანს გაგვიგრძელდება.

— ამას მე კარგა ხანია ვფიქრობდი მისტერ ბატაილ და თუ არ ვამბობდი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ისედაც ენერგიულათ მოქმედობდით. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი მარჯვე დრო მუშების ასალაგმავათ ხშირათ არც მოგვივა და არც დიდხანს გაგრძელდება. დროთი რასაკვირველია სარგებლობა უნდა. „დრო ფულიაო“ ტყუილათ ხომ არ ამბობენ ინგლისელები.

— აბა ჩააგდეთ ჩოთქში. რაკი გზის მუშები მოვიცილეთ, ახლა დეპოს მოსამსახურეებსაც შეგვიძლია ჩამოვართვათ ბილეთები და ექიმის დახმარება.

— ჩემის აზრით მისტერ ბატაილ, ჯერ ცენტრალურ სადგურის მუშებზე გალაშქრება აჯობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბუთი?

— საბუთი.. რა მოგახსენოთ... აკი მითხარით წელან, რომ მოურიდებლათ მელაპარაკნა. საბუთი ის არის, რომ ასე აჯობებს. დიახ, ასე აჯობებს.

— მაშ მე ვიტყვი ეგრე არ აჯობებს მეთქი და ესეც საბუთი იქნება.

— თქვენ თუ კი ბრძანებთ მისტერ ბატაილ, რასაკვირველია საბუთი იქნება.

— ეს ერთი; ჩააგდეთ დღეში ხუთი თუმანი.

— განა მეტი არ იქნება?

— ვინ იცის, იქნებ მეტიც დარჩეს, მაგრამ მინიმუმი ვიანგარიშოთ.

— გასაოცარია სწორეთ ჩვენ წინაპართა ხელგაშლილობა! კარგია დღეში ხუთი თუმანი...ჩასულია!

— ახლა ჩადი თორმეტი აბაზი ორი გზის მფხეკავისა სემინარიის დაღმართზე;

— ეს ვერ გავიგე, მისტერ ბატაილ.

— მინდა ორი კაცი მოვაკლო მფხეკავებს. განა ამდენი სამუშაო კი არის?

— ჰოოო. მესმის, ჩასულია თორმეტი აბაზი.

— ახლა ჩადი რვა აბაზი ქვიშის დამყრელისა. ორი კაცი იმათაც მინდა მოვაკლო. რა საჭიროა, ტყვილათ უყრიან ქვიშას.

— ჩინებული! ჩასულია.

— მოაკელი ერთი მექვიშე ციციანოვის დაღმართს.

— ჩასულია ოთხი აბაზი.

— ახლა ვერის დაღმართსაც მოაკელი ერთი კაცი.

— განა იქ მეტი მუშაობს?

— რას ამბობთ ბ-ნო გის! აკი სწორეთ ეს მაკვირვებს ჩვენ წინაპართაგან! წარმოიდგინეთ ჯერ კიდევ ცხენის კონკის დროსაც, თურმე იქ ოთხი კაცი მუშაობდა. ახლა იანგარიშეთ თქვენ ოთხჯერ სამ-სამი აბაზი! ხედავთ, ეს დღიურათ თორმეტ აბაზს ადგენს. ასეთი დაუდევრობის გამო საზოგადოებას რაღა გადაარჩენდა. კიდევ კარგი რომ ამდენ ხანს სულ არ გაკოტრდა. მე მოსვლისათანავე შევნიშნე ეს დაუზოგველი მფლანგველობა და ოთხის მაგიერ ორი მუშა დავტოვე ახლა ერთიც კი იკმარებს მგონია.

— რასაკვირველია იკმარებს მისტერ ბატაილ. ჩემის აზრით ეს არც ისე საშიში დაღმართია, რომ იქ ვაგონს ქვიშა დასჭირდეს. უმჯობესია ორივე მუშა...

ძინ... ძინ... ძინ... ძინ... ძინ!.. გაისმა უცებ მძლავრათ და მოულოდნელათ ტელეფონის წკარუნი.

— ნეტავ რაამბავია ასეთი ახირებული რეკა, ლამის დაამტვრიონ აპარატი. აბა ერთი გაეპასუხეთ ბ-ნო გის.

გისი ნელის, აუჩქარებელის ნაბიჯით მიადგა ტელეფონს.

— ვინ არის? მე გისი გახლავარ... როგორ, ხიდი ჩაიმტვრა? რას ამბობთ? დირექტორიც აქა ბრძანდება. მაგრამ ახლა არა გვცალია, ანგარიშებს ვუზივართ. აჰ? ვინ? რა ტორმუზი? დიახ აქ არის. შემდეგ გეახლებათ. ცოტა მოითმინეთ. საანგარიშო გვაქვს. რას ამბობ? ქვიშა განა ცოტაა?.. დაიმტვრა? თქვენ იანგარიშეთ? მთელი ვაგონი? ოჰ ღმერთო ჩემო!... ბევრი დაშავდა?.. ოცდა ათი? მართლა ოცდა ათი?.. მძიმეთ?..

დირექტორ-რეფორმატორმა ვეღარ მოითმინა.

— რა ამბავია, ბ-ნო გის, რა ამბავია?

— ვაგონი დამტვრეულა მისტერ ბატაილ, მთელი ვაგონი ..

— სულ წამხდარა?

— ერთიან დალეწილა! ოცდა ათი კაცი დაშავებულა.

— ღმერთო ჩემო! ვინ გაუძლებს ახლა ამდენ ჯარიმას. მომკვდარა ვინმე?

ჯერ მხოლოდ ერთი, ბოქაულის თანაშემწე... სხვები მძიმეთ დაშავებულან.

— ბოქაულის თანაშემწეს ხომ უფასო ბილეთი ექნებოდა? განა ჩვენ ვაგებთ პასუხს?

— აბა რა მოგახსენოთ..

ძინ... ძინ... ძინ.. ძინ...

— დირექტორი ბატაილ!.. მიხაილოვის საავათმყოფო?.. ძალიან კარგი .. გეახლებით . სამწუხაროა ვაგონის გაფუჭება... ხალხიც ცოდვაა რასაკვირველია... ტორმუზი არა მგონია. . როგორ არა, გუშინ გავსინჯეთ და შევაკეთეთ... მართალია ძველი ვაგონი იყო, დიდხანს არ ივარგებდა .. მაინც ზარალია. . ღიანდაგი?.. საზღვარ-გარეთ ეს ყველგან ასეა... მოსახვევში?.. ჰო, შეიძლება გარეთა მხარე უფრო მომაღლო იყოს... რა თქმა უნდა მაშინ არ გადავარდებოდა და ამდენი ზარალი არ მოგვივიდოდა... ეხლავე... მშვიდობით.

ბატაილმა პალტო მოიხურა, ეტლი მოითხოვა და ცოტა ხნის შემდეგ მიხაილოვის საავათმყოფოში საკუთარის თვალით იხილა შემძრწმუნებელი ნაყოფი ,,რვა-აბაზიანი'' ეკონომიისა.

**ეშმაკი.**

---

***

კავკასიის მთას, ჩამავალი მზისა სხივები
უკანასკნელათ უკოცნიან ჭაღარა თავსა
და სიცხოველეს მოკლებულნი, განაცივები
ესწრაფებიან გადაეშვან უფსკრულსა შავსა.
მწუხრის სამოსით დათალხული არე მიდამო
დასევდიანდა, დაეკარგა სიცოცხლის ძალა,
ბუნების ტურფა ჰარმონია, უცხო, საამო
წყვდიადის კალთამ გაიხვია და მიამქრალა.

ნიავი ჩადგა ველზე წყაროს რაკრაკი მისწყდა,
მწუხარებისა დააფრქვია ცრემლი წალკოტმა,
ბულბულს წაერთო სიმღერისა ლტოლვა ხალისი
და გულსაკლავათ დაიკვნესა ბნელეთის ჭოტმა.
მაგრამ ეს, მუხამ, ველზე მდგარმა, მრავალ-შტოვანმა,
აინუნშიაც არ მიიღო, არ აცახცახდა...
კვლავინდებურათ რხევა იწყო თავის ტოტების
და სხივ მფრქვეველსა განთიადსა შემოუცადა.

—

შენც, შრომის შვილო, მრავალ გზობით ტანჯვა ნახულო,
თუმც მოპირქუშდა ცის კამარა, ჩამოგიბნელდა.
და სვავ-სვავებმა ყვავ-ყორნებმა მორთეს ჩხავილი
იქ, სადაც წინეთ სიმართლის ლექსს ბულბული მღერდა,
მაგრამ არ გშვენის ქედის მოხრა ბედის წინაშე,
უიმედობის ცრემლთა ფრქვევა და სინანული.
ბნელ ღამეს მუდამ დილა მოსდევს ტკბილ-სანეტარო,
ტანჯვა-ვაებას ნეტარება და სიხარული·

**დ. თურდოსპირელი·**

---

# ჩემი შვილი ცოცხალია!

(უძღვნი დ—ა ქ-ლის ხსოვნას)

**(ნამდვილსავით. გურულების ცხოვრებიდან.)**

კალანდა დილაა. ს. ჩიგვნარში გაისმის სადღესასწაულო სიმღერის ხმა. კანტი კუნტათ თოფებსაც ისვრიან. ახალგაზდათა ჯგუფი ახალმოდის ვიზიტს აკეთებს: დადიან მეზობლებში, ულოცავენ ერთი ერთმანეთს, კოცნიან, მღერიან, სვამენ, შეექცევიან. მთელი სოფელი სადღესასწაულო ნადიმშია. მხოლოთ ერთი, ქვრივი მართა ფინდიხაძის ოჯახია მგლოვიარეთ. მართას საყვარელი ქმარი, პეტრე, ბათუმის „ცხრა მარტმა“ იმსხვერპლა. პეტრეს ერთად ერთი ვაჟი, დათო, იმ დროს სოფლის სკოლას ათავებდა. მისი წლოვანების შესაფერათ, ის კარგა გამოცდილი და მიმხვდარი ჭაბუკი იყო. მართალია მას კარგად არ ესმოდა, თუ რისთვის მოჰკლეს მისი მამა, მარა მშვენივრათ ახსოვდა, თუ რა დიდებით დაასაფლავეს ისა და მისი ამხანაგები. ახსოვდა აგრეთვე საფლავზე წარმოთქმული სიტყვები და სადაც საყვარელი მამის ხსენება ამის შემდეგ მის თვალში მეტათ გაიზარდა. დათოს მახვილი გონება სხვის დაუხმარებლათაც კარგა გაერკვა მამის ისტორიაში. იმან გაიგო, რომ მისი მამა ქარ იყო ქურდი, არ იყო ავაზაკი, მაშ რათ მოჰკლეს?.. რათ წაართვეს მეგობარი მამა? ეს კითხვები დათოს მუდმივ უტრიალებდა თავში.

— ნენა, მეც მამის გზაზე მომიწევს მგონი სიარული... ხშირად ეტყოდა ის დედას.

ფრთხილი დედის გული ასეთ სიტყვებს ვერ უძლებდა. მას უყვარდა პეტრეს „საქმეც“, მაგრამ დედობრივი გრძნობა ვერ დაეძლია—„საქმეზე“ მეტათ მისი ერთად ერთი შვილი უყვარდა, ვერ დაუთმო მისი ქვრივობის ნუგეში, ვერ გაემეტებია ამ „საქმისთვის.“

— სუ შვილო, მე უბედური დღის გაჩენილს უქმრობაც მეყოფა, შენ ვერ გაგიმეტებ... ისიც კმარა რომ მამა შენი შამიერო თავზე. შენ ისტავლე და სიბერე შემატყობიე ..

— არა ნენა, მე მამას ვერ უღალატებ, როცა იმას მარხავდენ და მისმა აფხანიკებმა იქ ილაპარიკეს, მაშვინ მეც გადავწყვიტე გუნებაში: თუ გინდა კიდეც მომკლან, მეც იმფერი ვიქნები მეთქი.

— კაი ერთი დედაშვილობას, მე იმას არ გიჩივი გლახა და მოღალატე გამოდი მეთქი, მარა იმას-კი გეხვეწები ნუ მომიძულებ და ყორნის არჩივათ ნუ გ‘მხთი...

დათო წამოიზარდა, „საქმეც“ იზრდებოდა. ის რაც წინათ მისთვის ბურუსით იყო მოცული, დღეს ნათელი შეიქნა. ის ერთი უკულმართობასთან მებრძოლ გმირთაგანი შეიქნა. საბრალო მართაც შეურიგდა თავის ბედს. მოსიყვარულე გული უკვნესდა, მაგრამ არ იმჩნევდა. გარეგნული სიამაყე ძლევდა სულიერს.

— ჩემი დათო, მისი ჭირი შემეყაროს, ზედ გამოჭრილი მამაა, იტყოდა ხოლმე. დათო ჯერ კიდევ ოცი წლის არ იყო, რომ მას უკვე იცნობდენ, როგორც ერთ საუკეთესო ამხანაგს...

დათო შეიპყრეს. მართა ძლიერ ბევრს ეცადა ენახა საპატიმროში მისი ნუგეში, მისი დიდება, მაგრამ ვერას გახდა. რადგან მისი შვილი „ძლიერი დამნაშავე“ იყო. არც არაფერი ცნობა მოსდიოდა ციხიდან. მართა სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ხან და ხან მისი პირიდან „საქმის“ და მისი დამწყებლების წყევლა კრულვასაც კი გაიგონებდი. ხუმრობა ხომ არ იყო, ამ „საქმის“ წყალობით დაეღუპა ქმარი, ეღუპებოდა შვილი, ცივდებოდა „ფუტი.“ აღარავინ რჩებოდა მისი დამმარხველი. საშობოთ როგორც იყო მართამ დათოსაგან წერილი მიიღო, აი რას იწერებოდა შვილი:

„დედა ჩემო!

„ჩაგეხვევი და დაგიკოცნი ჩემს ამღზრდელ ძუძუებს. მაპატივე დედა ჩემო, რომ შეგაწუხე. მაპატივე, რომ შენი იმედი ვერ გავამართლე—ვერ აგისრულე სურვილი და სხვა გზა ავირჩიე. ვერ მოგასწარი ჩემი ცოლშვილი და ბედნიერება. კარგათ იცი რაც იყო ჩემი სიამოვნება, ჩემი ცოლიც და შვილიც. ვწუხვარ რომ გაგიმწარე მოხუცებულობა, მაგრამ რამექნა... საქმე მსხვერპლს თხოულობს და მეც მას შევეწირე... ეხლა ყველაფერი გათავდა,

ჩემი საქმე გადაწყვეტილია. შეეჩვიე იმ აზრს, რომ მე აღარ გყევარ... ტირილი და არც რამეს დახარჯვა მე აღარ მიხსნის იმან, ვინც ამხანაგათ მიმაჩნდა, მი-ღალატა, პირში წამიდგა... ის გაანთავისუფლეს, მე კი... მშვიდობით! მაგრამ დედა არ შეშინდე, შენი შვილი გმირულათ გადაიტანს ყველაფერს, არ უღა-ლატებს საქმეს... მე მიპატიებია საწყალი გამცემი მასიკო კენჭაძისთვის, მაგრამ ცხოვრება არ აპატი-ვებს... მშვიდობით დედა, მშვიდობით ჩემო ჯუჯუა...

შენი გამამწარებელი დათო ''

ადვილი წარმოსადგენია მართას მდგომარეობა! მისი შვილი გასცეს, უღალატეს, სასიკვდილოთ გამოიმეტეს. მერე ვინ უღალატა? მისმა მეზობელ-მა, ტოლმა და „ამხანაგმა" მასიკო კენჭაძემ.

II

მომლოცავები განაგრძობენ ვიზიტს. შუადღემ მოატანა. მომლოცავებს გზაში ერთი ახალგაზრდა შემოხვდათ. რომელიც ეს იყო ს. ქალაქიდან მო-დიოდა. შედგნენ, მიულოცეს, ამბავ-ხაბარი ჰკითხეს.

— რაღა ამბავი, ძმებო, დათო..

მხიარული კამპანია ძრიელ შესწუხდა. რადგა-ნაც ყველას თავში ღვინო „უჭუხუნებდა" გრძნო-ბა!! ყველა მეტათ აიყოლია და ზოგმა ტირილიც დაიწყო.

— მოდით წავიდეთ და ვანუგეშოთ საწყალი მართა—განაცხადა ერთმა.

ყველა დაეთანხმა... კარზე მოეგება მათ დაღო-ნებული მართა.

— აგაშენოთ ღმერთმა, მრავალს დაესწარით, კაი ქენით რომ არ დამივიწყეთ. . ვაი შვილო და-თო სახარ ახლა, რომ შენც აგინში არ ურევიხარ?

ყმაწვილები შეკრთენ, ხმა ვერ ამოიღეს. ძნელია „შემცხადიებელის" როლი.

მართამ სტუმრებში ახლათ მოსულიც შენიშნა.

— დედა შვილობას, მითხარი ნუ დამიმალავ თუ რამე იცი დათოსი? ყმაწვილის თვალები ცრემ-ლებით აევსო და ხმის ამოღება ველარ მოახერხა. უფრო გამოცდილი ყმაწვილები მართას გარს შემო-ეხვიენ და კლავი გაუკავეს. მართასთვის უსიტყვო-თაც ცხადი შიქნა, რომ მისი დათო აღარ იყო.

ის გაკაჟდა, დაჭრილ ძუ ვეფხვს დაემსგავსა, არ უკივლია, კრინტიც არ დაუძრავს.

— შენს ოჯახს, შვილო დათო, კალანდა დღეს კივილს ჶრ დავბედებ. წამიყვანეთ ათანასაი კენჭა-ძისას. ვისაც დათო უყვარდა, ის ყველა წამომყვება.

ყველა ხმის ამოუღებლივ დაემორჩილა.

ათანასე კენჭაძე მამა იყო დათოს მოღალატე მასიკოსი. იგი მართას მეზობლათ ესახლა. გაალეს ჭისკარი, თუ არა მართამ სწრაფათ გადიძრო თავი-დან ცახოცი, გაიწეწა თმა, შემოიკრა ლოყაზე ხე-ლი, ისე მაგრათ, რომ სისხლი გადმოიდინა და ხმა მაღლა დაიკივლა:

— უბედურო მასიკო, განიქებულო მასიკო, ყოლიკაცში გამოწყვეტილო, იუდავ გამცემელო!

კივილზე შეშფოთებული ათანასაი და მისი ცო-ლი კესა გარეთ გამოცვივდენ, მასიკოს დედაც მო-ყვა კივილს. მას ეგონა მისი შვილი მართლა სადმე მოკლეს, ან მოკვდა და მართამ შეუმცხადია, მაგრამ მას უჩურჩულეს საქმე რაშიც იყო

მართა განაგრძობდა კივილს და მოთქმას.

გაოცებულმა კესამ დაუწყო მისამძიმრება. კე-სა მოთქვამს დათოს, მართა მასიკოს.

— მე კი არა, უბედურო კესარიავ, ძუძუებ შე-რცხვენილო კესარიავ, შენ მოგიკვტა შვილი, ჩემი დათო ცოცხალია—ვაი უბედურ შენს დღეს, განი-ქებულს შენს მოსწრებას. ყველაის სასაცილოვ, ყვე-ლაის საყბაისაქცევო—მასიკელაის გაზდას გველი გაგეზარდა იჯი გერჩია, უბედურო კესარიავ, უბედუ-რო, საწყალო ათანასავ, რაფერ გაგიმწარდა მოხუ-ცებულო'ა, რაფერ დაგესხა თავსხლაფი თავზე,—ვაი უბედურ თქვენს დღეს, უბედურო! უბედურო! ვაი! ვაი, ვაი!...

კივილ-წიოკის ხმაზე მეზობლებმა მოიყარეს თა-ვი ათანასესას, არ იცოდენ ვინ ეტირათ: მკვდარი დათო, თუ ცოცხალი მასიკო.

მართა კი განაგრძობდა მოთქმით ტირილს და თავში ცემას.

— მე არ მომიტიროთ, მე აფერი არ მჭირს სა-ტირალი. უბედურ კესარიას მუუტირეთ, მისი მასი-კელაია კვტარი, თვარა ჩემი დათო ცოცხალია, ცო-ცხალი—უბედურო კესარიავ—უბედურო, შენ უცე-ხლოთ დამწვარო, შე უმდუღროთ მოხარჩულო, ცო-ცხლითა გამოწყვეტილო ქალობაში, გაუბედურებუ-ლო ათანასაის ოჯახო, კალანდის ჰაგიერ რაფერი შავი ყვერიელი გაგითენდა. გვარის საჯაყო მასიკე-ლავ, თავსხლაფ დასხმულო, გაკიცხულო, ახალგაზ-დობაში გამოწყვეტილო, უბედურ შენს ჭირისუფალს შენგან გუუხარებელს. შენგან გალანძღულს, ამას მო-ელოდა შენგან უბედური მამა შენი? ვაი! ვაი! ვაი! უბედურო! უბედურო!

???

**ზანტი.**

---

# ლილინი.

(საახალწლო ძღვენი)

ერთგული იყავ ქამანჩავ
შენი ტლუ ამხანაგისა,
არ გამიწბილო იმედი
კვნესამე შენი ჰანგისა!
შენ იყავ ჩემი ნუგეში
გულის სიამის მფენელი,
ვინძლო არ გამინაწყენო,
არ მოიმდურო მსმენელი!
ნურც ვისმე მოეკრძალები
დასძახე გაბედულათა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუკერძ—მიუდგომლობა
გქონდეს მცნებათ და სჯულათა!
მოყვარეს შეიყვარებდე,
მტერს უხვდებოდე მტრულათა,
მშრომელთა წყლული გულისა
მიგაჩნდეს შენდა წყლულათა!
საქები აქე ტკბილ-ხმებით..:
(ნუ კი გაიხდი ღმერთათა)
რაც საგმობია, სჯობია
დავგმოთ, ვაძაგოთ ერთათა!
ქვეყნის გამცემს და მუხანათს
ვეფრქვიოთ შხამის წვეთათა
და ნუ დავინდობთ ორ-გულის,
ერთ-გულათ, გასაკვეთათა!
მაშ ახმაურდი ქამანჩავ
კრიმანჭულ - სევდიანათა
აჰა, ცის კიდურს, ახალ წლის
მნათობმაც ამოანათა!

*
* *

„პოდეზდის“ კარებს წავაწყდი
ეწერა: ,,გომართელიო-
ვსთქვი თუ, გზას რაღათ ვიშორებ,
ზარსა ჩამოვკარ ხელიო!
ბრიგინ ბრიგინით, მოახლე,
(ფეხ-მარდი იმერელიო)
კარებს მოაწყდა, თვალები
დამიბრიალა ჭრელიო!
წარბი შეიკრა, დამყვირა
რა კი გააღო კარიო,
მითხრა:—ვინა ხარ ოხერიო
ლამის გასწყვიტო ზარიო.
—ნეტავ რას ბრძანებ ყმაწვილო,
ბატონი შინ ხომ არიო?
—ვის ბატონს მკითხავ ..
— შენს ბატონს...
დამშვიდდი, ნუ ხარ ცხარიო!
—შინ არი, მერე რა გინდა?!
—საქმე მაქვს სათხოვარიო.
—კარგი, წამოდი!—გავყევი. .
გული მიფეთქდა მტკივანე
მაგრამ მყის ძალა მოვიეც
რო დავინახე ივანე!
—სადაური ხარ ყმაწვილო?
—რაჭველი შენი ჭირიმე!
(გუდას ჩავბერე ლონივრათ
თან ავამღერე სტვირი მე.)
ამბობენ: დაფნის გვირგვინით
სდაფნავ და ამკობ რუსებსო,
კრიტიკის მწვავე ცეცხლითა,
‘‘აქაჩლებ,‘‘ თავს უტრუსებო!
ქართული ლირაც მეტის-მეტ
დააყუდ-დაამცირეო,
როგორც მოზარემ ტირილში,
დაამწუხრ დაატირეო.
—ხო არ დამცინი მესტვირევ,
რაღაც არ მომწონს კილოვო...
განაგრძე, არ მსურს ახალ წელს
სახლიდან გაგაწბილოო.

*
* *

მსურს ვინახულო **კოწია**
,,რუსულ ქათმების‘‘ ქორიო;
სალამი ვკადრო თავაზით
და არა როგორც სწორიო!
არ დაავიზარებ, რადგანაც
არა აქვს ბინა შორიო,
ძაღლი, რო კუდით ათრევდეს,
ბრძანდება რედაქტორიო!
...მიველ და ვნახე მორწმუნე.
მეოცა მისი სახეო,
ტუჩს არ უპობდა ღიმილი
არც იყო მოვაგლახეო!
შეკითხვა მივეც:—ნეტავ რას
მოუწყენიხარ თავადო,
გულს ნუ დამიკოდ, მგრძნობელ, გულს,
მარქვი, ხომ არ ხარ ავადო!
სდუმხარ, დაღრეჯით მჯდომარე,
თავი ძირს დაგიხრიაო;
ხმა გამე, აგრემც გიცოცხლოს
უფალმა «ივვერია‘‘-ო!
ვთქვი თუ არა ეს, კოწიამ
საზარლათ დაიხვნეშაო,
ჩაფლეთილ გულის სიღრმიდან
ამოხდა მწარე კვნესაო;
და სთქვა: ყმაწვილო, მომიკვდა...
აღარ მყავს მე იგიაო
რათა ხანია დავმარხე
ნუ თუ არ გაგიგიაო?!
— არა კეთილო .. მაგრამ... ეჰ ..
რას არგებ წუხილითაო
ველარ აღადგენ ცხონებულს,
გლოვის ხმის ქუხილითაო!
გული მოიეც, გამხნევდი,
,,ნისლები‘‘ უკუ ჰყარეო
და ,,საქართველოს მოამბე‘‘
შვილივით შეიყვარეო.

*
* *

ახალს წელიწადს გილოცავ,
პირ-ტიტველ- ცილინდროსანო;
აღზრდილო ,,ევროპაშია‘‘
მეცნიერო და მგოსანო!
**სიბრძნეო!** შენი რა მომწონს—
ხეთქილი გენიალობა;
მსმენელთა შენთა კეკლუცთა,
ტყვევნა და ეშხით მთვრალობა!
თაყვანს ვცემ, ჩვენო ვარსკვლავო,

შენს მაღალ გონიერებას,
უნივერს-ანალეტიურ
პლატონებრ სახიერებას;
ინდივიდუალ, აქტუალ,
სკვნა, კვეთილ, რეალობასა;
ყოფისა ნაქმნარ-ნაკვეთებას
იმიერ სოფლის ფლობასა.
შენ ხარ მზე ამომავალი
ჩამავალ ქართველობისა;
არ დაანატრო ხშირ ხილვას
თვალნი ძის, მზრუნველობისა!
დავნატრი შენთა სიტყვათა
ზილფოვანებრივ რხევასა;
(ქაღალდზე არ ხარ ჩვეული
კრიტიკულ აზრთა ნთხევასა!)
დიდება შენსა განმსახავს
ჩვენს ტურფა საქართველოსა;
ინატრის, ველარ გამოზრდის
შვილს შენებრ სასახელოსა.

* * *

თუ სავსებით ვერ გაამე
მსმენელო, შენი ჰირიმე,
გთხოვ ნუ დამძრახავ ჯერ უცდელს
არ შემიგინო სტვირი მე!
პიიი, ჰუუუუ, სუუუუუ...
.. არ შემიგინო სტვირიმე!...

ტარიფა.

## კალენდარი.

(1910 წლისათვის.)

მოკლე წინა სიტყვაობა.

კალენდარის წარმოება, ეს ერთგვარი წინასწარმეტყველობაა და როგორც ყოველგვარი წინასწარმეტყველობა, ისე ჩვენიც ბევრი შეიძლება გამართლდეს და ბევრი გაცრუვდეს. ორივე შემთხვევაში მკითხველი და მორწმუნე არაფერს წააგებს. შარშან ჩვენ ადრე შევწყვიტეთ ეს განყოფილება, რადგან საზოგადოება არ იყო მომზადებული, მაგრამ მიუხედავათ სიმცირისა ბევრი მათგანი უკვე ჴახდა. ზოგიერთის შესახებ შარშანაც მოგახსენეთ, ხოლო ერთს ახლა გიამბობთ:

ერთ-ერთ საკალენდრო ფურცელში ნათქვამი გვქონდა: ,,იასე რაჭველი მუხრანის ხიდიდან გადავარდება მტკვარში და გოროდოვოები მეტეხის მახლობლათ ამოიყვანენო.'' ეს ჩვენი წინასწარმეტყველება, როგორც გავიგეთ, სავსებით ასრულებულა. საიდუმლოებით მოცულია მხოლოდ ის, თუ საიდან გადავარდა მტკვარში ჩვენი ,,ხალხის ქირისუფალი'' დიდებული ,,ივერიის'' ბელეტრისტი იასე.

**იანვარი.**

დარი იქნება ცვალებადი, როგორც ქურქი უპარტიო ინტელიგენტისა: ხუთმეტამდე, ერთობ ზომიერი, ვითარცა სოციალური მიდრეკილება ი. გოგებაშვილისა, ხოლო ხუთმეტიდან ვიდრე დამლევამდე სასტიკი და მკვახე, როგორაც პუბლიცისტიკა ,,საქართველოს მოამბისა.''

**პოეზია.** კიტა აბაშიძე აღმოაჩენს ახალ ვარსკლავს მომავალისას,—გრიშაშვილს, მიუმატებს შანშიაშვილს და ამ ვარსკლავთ კრებას უწოდებს ,,მარჩბივს'' ანუ ,,ტყუპს.''

**ხელოვნება.** იოსებ იმედაშვილი თავისი ,,თეატრითა და ხელოვნებით'' ქართულ სასცენო საქმეს ძლიერათ შეარყევს და თითონაც შეირყევა. პართენ გოთუა დასწერს ,,პარტიის ქალს'' და უმეტეს განავითარებს თავის განუვითარებელ შემოქმედობით ნიჭს. დრამატიული საზოგადოების გამგეობა სთხოვს ივ. გომართელს: ითამაშოს ქართულ სცენაზე ,,ნიკო მგელაძის'' როლი ,,პარტიულ კაცში'' და რადგანაც გომართელი ხათრიანი კაცია, ვარს ვერ ეტყვის.

**ძველი მწერლობა.** გიორგი გვაზავა გამოიკვლევს, რომ სახარება მოსე წინასწარმეტყველის დაწერილია, 13 წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. იგივე ავტორი, (გვაზავა) დაუწყებს თხრას მუხრანის ხიდთან მიტანილ ნავავს ისტორიულ სიძველეთა გამოსაკვლევათ. მოსე ჯანაშვილი დასწერს კიტა აბაშიძეზე ვრცელს მეცნიერულ გამოკვლევას, რომლითაც დაამტკიცებს, რომ ქართველი კრიტიკოსი ძლიერ მწყრალათაა ყოველგვარ სიძველესთან, გარდა ძველი აზროვნობისა.

**გეოგრაფია.** ცნობილი მწერალი ალაროდიელი შეადგენს სრულს ქარტას საქართველოისას, რომლის საზღვრებიც იქნებიან: სამხრეთით ეკვატორი, ჩრდილოეთით პოლიუსი, აღმოსავლეთით დიდი ოკეანე და დასავლეთით კი სათავად-აზნაურო გემნაზია.

**დრამატურგობა.** ქართულ დრამათა კალოს მიემატება კიდევ ექვსი ახალი დრამა.

1) ,,შარლატანიზმ'' გიორგი გვაზავასი.
2) ,,სიხლუნგიზმ'' ი. ნაკაშიძისა.
3) გაქუცვიზმ'' იასე რაჭველისა.
4) ,,იეზუიტიზმ'' კოწია თუმანიშვილისა.
5) ,,ყლინწიზმ'' ალ. ჯაბადარისა.
6) ,,პარიზიტიზმ'' გ. ამირაჯიბისა.

ყველა მათგანი მიიღებს დრამატიულ საზოგადოების პრემიას, თუჯის მენდალს, რომელზედაც გოთუას სახე იქნება ამოჭრილი პირველ-ყოფილ მდგომარეობაში.

**არქეოლოგია.** ზაქარია ჭიჭინაძე აღმოაჩენს ძველის ძველ ნაშთს ზუბალაშვილთა გვარეულობისას. ნაშთი ეკუთვნის 8009 წელს ქრისტეს დაბადებამდე და შეეხება აღნიშნულ გვარის ვაჭრობა-მრეწველობას სამხრეთ ავსტრალიაში. არქეოლოგიური საზოგადოება სთხოვს გამოსაცემათ დათმობას, მაგრამ ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარია არ დასთანხმდება, ვინაიდან თუ ქველ-მოქმედები რასმე გამოიღებენ მე თითონ მჭირია სახლზე მესამე სართულის დასადგმათ.

**საზოგადოებრივი მოღვაწეობა.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა შეამოწმებს საზოგადოების მუზეუმში ორს გატეხილ ბიუსტს და მიიღებს შემოწირულებას მუზეუმის შენობისათვის 38 კაპეიკს.

ქაიხოსრო ჩქვთარაძე წ.-კ. ს. წევრთა შორის მოაგროვებს 7 მანეთს და გადასცემს დანიშნულებისამებრ.

ქართული კლუბის თავმჯდომარეთ ამოირჩევენ ბ-ნ ლოზჯანიძეს.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დაადგენს საზოგადო კრების მოწვევას.

ჟურნალისტთა საზოგადოება საგონორარო შემოსავლის თანხიდან შეიძენს ერთ სტამბას, სადაც დაბეჭდავს განცხადებას საზოგადოების დახურვის შესახებ.

ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვი წაიკითხავს შესანიშნავ ლექციას: ,,ბ-ნი ბატაილი და მისი დაუფასებელი მოღვაწეობა ტრამვაის მოძრაობის მოწესრიგებაში''. ხალხი დიდის აღტაცებით მიეგებება.

სამხედრო წესები...

ეშმაკი.

---

## შ ა რ ა დ ა.

—

მსურს ნაახანწლევო მკითხველებს
მილოცვა დავუბზუილო:
მაგრამ ვერც ვამბობ სიმართლეს,
არც მინდა მოვატყუილო.
ილოცხლეთ, მრავალს დაესწართ
ამგვარათ ახალშობილსა:
კოჭლსა, მუნჯსა და ბრუციანს,
გონება გამოხშობილსა.

—

ახლა კი, უმორჩილესად
გთხოვთ ყურნი ჩემკენ იბრუნოთ,
ამ მოკლე შარადისათვის
ივაგლახოთ და იზრუნოთ.
ბევრს მოითხოვს ხელობას
თუმც უბრალო და მცირეა,
რადგან ყოვლისა პირველად
ტალახის ზელა სჭირია,
შემდეგ ოთხკუთხად მოყვანა,
და გამოშრობა ქარზედა,
მერმე კი გამოსაწვავათ
მიტანა ქურას კარზედა.
როცა დამზადდეს საგანი,
მას მყისვე თავი მოჰკვეთეთ,
მაგრამ მოჭრილი მაშინვე
ბოლოდან წამოუკვეთეთ.

ამით თავდება შარადა,
სხვა მას აღარა სჭირია:
ჩვენი სამშობლოს კუთხეა
ბედისგან განაწირია,
ხუთი წლის წინეთ, საბრალოს,
ტკბილათ უღიმდა პირია,
დღეს ძლიერ ჩამოღრეჯილა
ანაცრემლ-ანატირია.
ეგზეკუცია, ჯარიმა,
აქ პანტასავით ხშირია,
მოისპო შინა ოთხფეხი
და შინაური სირია,
ხალხი კი როგორ ბოგინობს
ღმერთმანი გასაკვირია:
სულ ყრილობაზე იწვევენ
საქმის თღეა თუ კვირია,
მიწა სადა აქვს, მაგრამა
თოხიც ვერ მოუპირია,
დღეს წიხლით უმასპინძლდება
ყველა დიდყურა ვირია,
არ ითქმის, ენით არ ითქმის
იმისი გასაჭირია.
ვეჭვობ ეს მცირე თქმულება
ვინმეს ეძნელოს მცირეთა...
და თუ ეძნელა, „შერცხვი თქვა“
სულ ყველამ მიაყვირეთა.

კოლო.

---

# ჭიაყელა და გველი.

**იგავისებური.**

(ვუძღვნი გიორგი გვაზავას)

მაღალ გორაკზე, ძველს ნანგრევებში,
უზარმაზარსა
პიტალო ქვებში,
ცხოვრობდა გველი
შიშის მომგვრელი
წარსულის შუქი, და სხივი მზისა
უხვათ ათბობდა ნანგრევის ძირსა..
გველიც, ხან მზეზე გამოწვებოდა,
ხან ძირს, სადღაცა
ქვესკნელს ძვრებოდა.
ნანგრევის ყველა ჩუმი საძრომი
ათასჯერ ქონდა გადანაზომი!..
სხვა ბინადარიც ეფარა სადგურს,
მაგრამ მას, გველსა,
მხნეს და მედიდურს
იქ სხვა ვერავინ შეედრებოდა:
ღამურა, მხოლოდ დღით ძვრებოდა,
მინდვრისა თაგვი თუ შეირბენდა,
იქ მყუდრო ბინას ვერ გაიჩენდა.
მუნ ჯოჯოც იყო დაბუდებული,
მაგრამ მას მუდამ უწუხდა გული,
და როცა გველი
კუდს გაიქნევდა,

საბრალო ჯოჯო
შიშით სულს ლევდა.
ნანგრევის ქვემოთ, ქაოზის პირათ,
ხავს მოკიდებულ ნამორის ძირათ,
ქიაყელასა დაედგა ბინა,
ცხოვრობდა მშვიდათ
ის, თავისთვინა.
ძვრებოდა დამპალს და მყრალ ქვიშაში,
თავს არხეინათ გრძნობდა მიწაში,
მას არ ენახა
ნათელი მზისა,
არც სილაჟვარდე ბრწყინვალე ცისა
ერთხელ, რაღაცა მოეხალისა
მივლებ მოვლება
მინდვრად თვალისა,
და რაკი სურდა
ზე ამოცურდა..
მყისვე შენიშნა ნანგრევზე გველი,
(მზეზე თბებოდა ლაღი და გრძელი!)
არ მოეწონა იმისი სახე
და ქიამ სიტყვა შეჭკადრა მკვახე
—ჰე, შარლატანო!
მითხარი ვინ ხარ
მანდ ნანგრევებზე რო გაწოლილხარ?
არ გესმის?.. შენ ჰე!..
ქურდო, ცბიერო,
პასუხი გამეც სამაგიერო.
(გველი კი იწვა, არ ინძრეოდა
და ქიაყელა გულზე სკდებოდა).
—ბრიყვი ყოფილხარ
სინდისსა ვფიცავ!..
ეს რა გულია სამშობლო მიწავ!..
ასეთი ურცხვი და უნამუსო
ჩვენს ქვეყანაში
ვინ შემოუშო?
(ამის გამგონე გამოძვრა ჯოჯო
და მოახსენა:
—ნუ ცხარობ, ოჯო!
გველს ვინ არ იცნობს
ამ მიდამოში?
შენ სად გაზრდილხარ, რომელ გოდორში?
მასთან საბრძოლი სად გაქვს შენ ძალი
მარტო ლორწო ხარ,
არ გიჩანს ძვალი..
აქ ამის შიშით ნადირნიც თრთიან. .
შენ რა გვარი ხარ,
რი მხეცი გქვიან?
— განა ჩემსას კი არ იცნობს ყველა?..
მე რა მხეცი ვარ და,—ქიაყელა.
ერთი მეც მკითხე
ძალი და ღონე...
სცდები თუ მართლა ლორწო გეგონე.
— კი, მაგრამ ხედავ იმის სიდიდეს,
მრისხანე თვალებს
სიმსხოს და სიგრძეს?..
შენ ერთგვარი გაქვს თავი და ბოლო,
რითი გსურს იმას
რომ შეებრძოლო?!.
— რითი და ჩემი გაბედულობით
სივაჟკაცითა
და ლომგულობით..
რათ მინდა ძვალი და კიმკიმები,
იმოდენს მეც კი გავიქიმები.
აი მიცქირე თუ არა გჯერა...
(აქ მან პირჯვარი გადაიწერა
და თავხედურათ გვერდს მიუცურდა
ს წყალს გველივით გაქიმვა სურდა!)
— აბა შეხედეთ ჩემს ხელოვნებას!..
მე არვის მივსცემ დაცინვის ნებას..
ნახავ, თუ გველსაც
არ წავაცილო...
ვინ დარჩეს ბრიყვი და სასაცილო.
(ის გაიქიმა და გაიწკართა,
მაგრამ მტერს... საქმე მას დაემართა!..)
საბრალო, გველსაც ვეღარ გადასწვდა,
და მეტის ქიმვით
შუაზედაც გაწყდა.

ეშმაკი.

## საახალწლო საჩუქარი მღვდლებს

აჰა ესერა, მამებო,
მომაქვს რჯღიანი ცხვრის თავი,
ნუ კი შემრისხავთ, —სიჩქარით
დამირჩა გაურუჯავი...
ა, კიდევ ცხვრისა ფეხები,
ა, წვენიც შესასვლიპავი,
ქოთნით მოგართვით, მოძღვარნო,
მიიღეთ შესაწირავი.
დღეს ეს იკმარეთ, ხვალე-კი
გავყიდი, რაც მაქვს, ყველასა
და დრამის ფულათ მოგიძღვნი
რომ ავცდე ხათაბალასა ..
მაშ ჩამომართვით, მამებო,
ძლევენი, რჯღიანი ცხვრის თავი,
და ნუ შემრისხავთ, სიჩქარით
დამირჩა გაურუჯავი...

ირაკლი.






# შ ე რ ი გ ე ბ ა!

(ვუძღვნით ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტებს)

ერთი მამულის შვილნი ხართ,
ერთ ცის ქვეშ ამოზრდილები,
რა ვუყოთ სხვა და სხვა გვარი
რომ ამოგსვლიათ კბილები?!
შერიგდით, ერთად იცხოვრეთ,
თანხმობით, მეგობრულათა:
,,ეს მგელიაო‘‘, ,,ის ცხვარი,‘‘
ნუ იხსენიებთ სრულათა.

ორივე ქართველები ხართ,
საქართველოის შვილები
ვიცი, საქვეყნო საქმეში
ერთმანეთს შეეცილებით!!
აბა, მიეცით ხელი ხელს,
გადაეხვიეთ ძმურათა,
შენ რო ხორცსა სჭამ, ის ბალახს
აქ ნუ ჩავავდებით ნურათა.

მგლებს უხარიათ, ცხვრები კი
ცხარე ცრემლებით სტირიან,
ან და მგლის დამეგობრება
ცხვრებს რა ეშმაკათ სჭირიან.

--ქთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ.

—

ქობულეთში უფროსი მობრძანდა. დაიბარა ადგილობრი ზუბრები და გამოუცხადა:

— თქვენ ძლიერ ბევრი ავი კაცი და ავაზაკი გყავთ. ისინი დაუყონებლივ უნდა გადასცეთ პოლიციას რომ გადაასახლოს, თორემ ეგზეკუციით დაისჯებით.

ეს ამბავი არ ესიამოვნათ ქობულეთლებს. წინ წარსდგა ტემპერ-ალა ხარარაზი და მოახსენა:

— მართალია ფაშა ეფენდი წინეთ ბევრი იყო ჩვენში რაზბონიკი და ავი კაცი, მაგრამ აწყე ალარავინ დაგვრჩა, ზოგი ქუთაისს წაიყვანეს სტრაჟნიკათ და ზოგიც მამასახლისებათ დანიშნესო.

— ??

ხიორი.

—

— როგორ მოგწონს ზაქარო, ე თავადები რო მამულებსა ყიდიან?

— განა ახალი რაა, იმათ ძველათაც ხშირათ გაუყიდიათ მამული.

ხ.ხვი.



## საახალწლო სარკე.

—

ახალ-წელი მობრძანდა
კოჯრის ავტომობილით,
მრავალ ამ დღეს დაესწარ
თქვენი (ანტონ) ძმობილით.
აწ ეხლა მოგილოცავ·
თუ მომისმენ ყურითა,
მივეგებოთ ახალ-წელს,
მარილით და პურითა.
ნუ მოგაკლოს შემდეგში
სავსე ღვინო ქურითა,
კიდობანი ქადებით
ნაზუქ-ხაჭაპურითა.
სუფრაც მოგცეს შემკული
ქათამ-ინდოურითა,
ღვინო, ბოთლის მაგიერ,
გესვას გოზაურითა,
დროს ლხინით ატარებდე
თარით ჭიანურითა,
შენს მშიერ ძოძმეებსა
შესცქეროდე შურითა.
ბედნიერათ თავს რაცხდე
სუფრის მგლით და ტურითა,
,,ჟამიერს" გაჰკიოდე
ბანით, კრიმანჭურითა.
თავი კვალად მოგქონდეს
ქვეყნის სამსახურითა,
გვერდით გიდგას ჭაბუკი
ვირით ბედაურითა,
კვალადაც ამაყობდე
თავად-აზნაურითა,
და სმენას დაუტკბობდე
ქცევით ჯამბაზურითა.

ა. განჯის-კარელი.

## ᲡᲐᲛᲣᲠᲖᲐᲧᲐᲜᲝᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲝᲪᲕᲐ.

—

— კარი გამიღე
— ნეტა რა მოგაქვს?
— ბედნიერების ახალი წელი,
ეგზეკუცია და ჯარიმები
საშვილის-შვილოდ გადაუხდელი.
— კარი გამიღე?
— ნეტა რა მოგაქვს?
— ძარცვა და გლეჯა, ქურდ-ბაცაცობა,
არსენ, ბაგრატის, ბაკურ და სხვების
საიაგავო „კაი-კაცობა"
— კარი გამიღე?
— ნეტა რა მოგაქვს?
— მფრინავი რაზმის გაუმაძღრობა
და მათ უძირო ჯიბეებისთვის
ათ-ათ თუმნობით ქანქრის დაწყობა.
პეტრეების მხრით, თავგანწირული
არსენებისთვის ერთგული ძმობა,
მათივე მხრიდან ხალხის მოყვრებზე
ენატანიობ—დურმიშხანობა.
მომაქვს სამოცი ათასის ჩვენზე,
ვისაც გვპარავენ, განაწილება
რიგ რიგ გაუყოთ მფრინავ კამანდას,
რომ არ მოუხდეს ჩხუბი, ცილობა.
ლოდორი...ების სალათას ძილი
მათი საქვეოთ გამოღვიძება,
და „ჩვენც კაცნი ვართ" ამის თქმისათვის
მტრებისგან მწვავე შურის ძიება.
მომაქვს ხუცების გახსნილი მადა,
მათი კურთხევა და ქადაგება:
,,მოითმინეთო, მოითმინეთო,
თორემ მერწმუნეთ სული წაწყდება."

ვასიკო—ციმბირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


წელიწადი 1910 წლისათვის მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

# მათრახი

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აევის-ტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

## პრემიათ გაეგზავნება

## ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარ-მოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები:

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ **2 მ. 50** კ. დანარჩენი **2 მ. 50** კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნ. „მათრახი და სალამური" გამოვა იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: **აზიანი, ბლიკვაძე, განჯის-კარელი, ემმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, ისამანი, კენტი, ლეხხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშავლი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе.


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელი ძე.




## ცოდვაში ჩავარდნა პირველი ქართველისა.

მას ჟამსა შინა, ოდეს ადამი იდგა მახლობლად ხისა „ცნობად-ფურცელისა“, ბოროტი გველი, (რომლისა თავში ბუდობდა ეშმაკი) გამოეძახა მას:

— ალექსანდრე, ალექსანდრე!

— რასა ინებებ ბატონო! იყო პასუხი ალექსანდრესი.

— მართლა აგიკრძალათ ღმერთმა ჭამა ნაყოფისა ამა ხისაგან?

— დიახ ბატონო, აგვიკრძალა, სასტიკათ აგვიკრძალა.

— მაშ არ გინდა შენ სჭამო ნაყოფი მისი და სცნო კეთილი და ბოროტი?

ალექსანდრე შესცდა. გველს „ნაყოფი“ ჩამოართვა და შესჭამა. იმ დღიდან, ვიდრე დღევანდლამდე სცნა მან მხოლოდ კეთილი.



## თანახმათ დადგენილებისა.

თანახმათ საზოგადო კრების დადგენილებისა წ. კ. გ. საზოგადოების სარევიზიო კომისია შეუდგა სამუზეუმო ნაშთების ახალ ბინაზე გადატანას.